https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.15

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკის აქტუალური პრობლემები (ზოგიერთი ასპექტი)

CRITICAL CONCERNS IN ILIA CHAVCHAVADZE'S JOURNALISTIC WORK (A FEW ASPECTS)

ნესტან მამუჩაძე
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი
შუახევი, საქართველო
Nestan Mamuchadze
St. Tbel Abuseridze University
of Patriarchate of Georgia
Shuakhevi, Georgia

ABSTRACT

In the 1860s, Ilia Chavchavadze emerged as a prominent figure in the national movement. Through his publicist pieces, such as Life and Law, What Can I Tell You, How Can I Cheer You up, Equality of Ranks, and Our People and Education, the author delves into sociological, political, cultural, national, and socioeconomic issues of his contemporary society. In the process, he becomes a problem solver, immersing himself in the boiling anguish of his times. One of Ilia Chavchavadze's great slogans was, 'Let us dauntlessly spread genuine words among the people.' However, it was the integrity of a truth-seeker that eventually led to his downfall.

The qualities of a leader are evident in Ilia's publicist pieces, portraying him as a compelling and impactful figure, who influences the audience through emotional communication. In his publicistic works, Ilia exposed the harsh realities of life for the Georgian people and their country in the 19th century.

Ilia laid the groundwork for a democratic state by initiating and overseeing the Georgian language reform, the establishment of the Estate Bank, and the Society for Spreading Literacy among Georgians, among numerous other endeavors, all dedicated to serving Georgia and its people. The state governance model introduced by Ilia, along with the method of appointing government and self-government through elections, represents a true democracy model. Many of the problems he addressed are not only still urgent today but also require the application of the insight and courage envisioned by this great patriot nearly two centuries ago.

საკვანძო სიტყვები: XIX საუკუნის ქართული მწერლობა, ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკა, ეროვნული პრობლემატიკა ილია ჭავჭავაძის წერილებში.
Keywords: 19th-century Georgian literature, Ilia Chavchavadze's journalistic work, national problems in Ilia Chavchavadze's articles.

ნებისმიერი ერი საკუთარი ისტორიით სულდგმულობს, პოულობს სულიერ ძლიერებას, ეროვნულ ვინაობას და ზნეობას. ისტორია აერთიანებს ერს. ერთ უღელში შებმული ერი, ერთმანეთის გვერდით მებრძოლი, ერთნაირი სულისკვეთებით, ჭირსა თუ ლხინში ერთსულოვნებით და სამშობლოს ერთგულებით არის ძლიერი.

ისტორია ინახავს ერთიანობის რღვევის ფაქტებსაც, მაგრამ ერი, რომელმაც იცის საკუთარი ისტორია, საკმარისია იფეთქოს მიძინებულმა ერთსულოვნებამ და ერთგულებამ, ისტორია კვლავ დაწერს ერის ერთობის იდუმალ ძალაზე. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში ილია ჭავჭავაძე ეროვნული დაჯგუფების ლიდერად გვევლინება. იმისთვის, რომ ერს ეროვნული თვითმყოფადობა დაებრუნებინა, საჭირო იყო გეგმა და თანამებრძოლები. დიდმა ილიამ კი ამ მისიის შესრულება დაიწყო.

პუბლიცისტური წერილებით – „ცხოვრება და კანონი“, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“, „წოდებათა თანასწორობა“, „ჩვენი ხალხი და განათლება“ – ავტორი ცხადყოფს იმდროინდელ საზოგადოებრივ, პოლიტიკურ, კულტურულ, ეროვნულ, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს. ამავდროულად, თავადვე გვევლინება პრობლემების მომგვარებლად და თავადვეა ეპოქის ტკივილში გამოხარშული. „ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში“, – დიდი ილიას ერთ-ერთი დევიზთაგანი გახლდათ და სწორედ მართლის თქმის პრინციპულობას შეეწირა იგი.

ილია ჭავჭავაძე ზემოთ ჩამოთვლილ პუბლიცისტურ წერილებში საკმაოდ ვრცლად და გაბედულად აკრიტიკებს ქართველ საზოგადოებას უმოქმედობისთვის. ის აღწერს, როგორია მის მიერ დანახული წარმატებული სახელმწიფო და საზოგადოებას სთავაზობს სამოქმედო გეგმას, სახელმწიფოს მართვის ეფექტურ გზებს. მაშასადამე, პუბლიცისტიკა საზოგადოებრივი აზრის ერთგვარ ორიენტირს წარმოადგენს. დღეს, როცა მედიის ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაზე ვსაუბრობთ და თანაც აქტიურად, გავიხსენოთ, რომ პუბლიცისტური წერილებით საზოგადოებრივი ცნობიერების გარდატეხას ილია მართალი მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან არამც თუ შეეცადა, არამედ არც შედეგმა დააყოვნა და შეძლო. მის მიერ გაკეთებული საქმეები ემსახურებოდა მხოლოდ ერის ინტერესებს.

ილია ჭავჭავაძე ავტობიოგრაფიულ წერილში აღწერს მისი, როგორც მწერლის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის შემოქმედებას:

„1877 წელს დავაარსე ყოველკვირეული გაზეთი ,,ივერია“, რომელიც შემდეგ ყოველთვიურ ჟურნალად იქმნა გადაკეთებული, ხოლო 1885 წლიდან ყოველკვირეულ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთად“. პერიოდული გამოცემა ,,ივერია“ საზოგადოებისთვის მხოლოდ ინფორმაციის მიწოდებას არ ითვალისწინებდა. „ივერია“ იყო ორგანო, რომლის პროგრამის ძირითადი ნაწილი ქართველთა ეროვნული იდენტობის გაძლიერებას და პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენას ემსახურებოდა. ილია ,,ივერიაში“ აქვეყნებდა კრიტიკულ წერილებს, სადაც ჩანდა მისი ხედვა და იდეები. ის ცდილობდა ჩამოეყალიბებინა სამოქალაქო საზოგადოება. არსებულ პრობლემებზე საუბრობდა გაბედულად, არ ერიდებოდა იმ სიძულვილსა და რისხვას, რასაც ზოგჯერ ქართველი ხალხისგან გრძნობდა.

სწორედ საყოველთაო განათლების იდეით შეპყრობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა, ილია ჭავჭავაძის მონაწილეობით, 1879 წლის 15 მაისს დააარსეს კულტურულ–საგანმანათლებლო ორგანიზაცია „ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომელიც ეწეოდა კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობას; მისი მთავარი მიზანი იყო, განათლების მიღება ყველასთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო. საზოგადოებას თავდაპირველად სათავეში ჩაუდგა ილია ჭავჭავაძის თანამებრძოლი დიმიტრი ყიფიანი (1879-1882), ხოლო 1882 წლიდან 1907 წლამდე ილია ჭავჭავძე ხელმძღვანელობდა.

„სწავლა და განათლება უფესვოა იქ, საცა უდიდესი ნაწილი ხალხისა კარდახშულია, მოკლებულია სწავლის სახსარსა“ (შინაური მიმოხილვა 1879). ,,ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ამ პერიოდში მნიშვნელოვანი ორგანიზაციაა ეროვნული პესიმიზმის აღმოფხვრისთვის. განათლებას ხელი უნდა შეეწყო უდიდესი ისტორიის მქონე ქართველი ერისთვის, რომ დაებრუნებინა ეროვნული სულისკვეთება და იდენტობა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ერი სრულიად მოუმზადებელი იყო ცვლილებებისთვის, საჭირო იყო საზოგადოების გამოფხიზლება და უკეთეს მომავალზე ფიქრი. სწორედ ილია ჭავჭავაძე იყო ის საზოგადო მოღვაწე, რომელიც დაადგა ამ უმნიშვნელოვანეს და ურთულეს გზას.

ილიას უპირველეს მიზანს წარმოადგენდა ბატონყმობის გაუქმება საქართველოში და ეროვნული განმანათლებლობა. ეროვნების აღდგენა აუცილებელი პირობა იყო წარმატებისთვის გამომდინარე იქიდან, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში თითქმის დაკარგულია ქართველობა და მამულიშვილობა.

ილია თავის პუბლიცისტურ წერილებში საკმაოდ კრიტიკულად მიგვანიშნებს ქართველობის ერთიანობის დარღვევასა და ეროვნულობის დაკარგვას. ის წერს:

„სად არის ქართველი და ქართველობა?

„ქართველები არ არიან, მაშ რა არიანო? არიან თავადაზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანი და უჩინონი – ყველანი არიან და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურს თავადი, გლეხს ორივე. ნუ თუ ესენი ქართველები არიან ერთი დედის საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრია სათავადო, აზნაურისა - სააზნაურო, გლეხისა საგლეხო, ვაჭარისა – სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთს თესლზედ ამოსულნი?“ (დროება 1876: №27). ილია ამ სიტყვებში გულისხმობს პოლიტიკური ერთიანობის დარღვევას, ეროვნულობის დაკარგვას. ილიას და მის თანამებრძლებს ესმოდათ, რომ ქართველი ახალგაზრდობა ვერ მიიღებდა რუსული მმართველობის პირობებში ისეთ განათლებას, რომელიც მათ ეროვნულ იდეოლოგიას მიაწვდიდა. სწორედ ასეთ ვითარებაში დადგა დღის წესრიგში ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების საკითხი“.

სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი დემოკრატიული სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. სამართლებრივ

სახელმწიფოში უმაღლეს სოციალურ ღირებულებად მიჩნეულია ადამიანი, მისი ღირსება, უფლებები და თავისუფლებები.

სამართლებრივი სახელმწიფო ეფუძნება და საკუთარ საქმიანობას ახორციელებს სათანადო წესით მიღებული კანონის საფუძველზე, რასაც კანონის უზენაესობის პრინციპსაც უწოდებენ. ეს ნიშნავს იმასაც, რომ დაცული უნდა იყოს არა მხოლოდ კანონის მიღების პროცედურა და საჯაროობა, არამედ მიღებული კანონები უნდა იყოს რაციონალური და შინაარსობრივად შესაბამისი ქვეყნის ძირითად კანონთან – კონსტიტუციასთან. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი არის გარანტი იმისა, რომ სახელმწიფო ხელისუფლება შებოჭილი იქნება მოქმედი კანონებითა და ადამიანის უფლებებით და, ამდენად, არ ექნება თვითნებობის, ადამიანის უფლებებში გაუმართლებელი ჩარევის შესაძლებლობა.

ილიას ჰქონდა რეალური ხედვა და იდეა, როგორ გამოეღვიძებინა მიძინებული ერი. მან აიღო ხელში კალამი და დაიწყო პრობლემის საჯაროდ გამოტანა. კრიტიკა საკმაოდ რთულად მისაღები აღმოჩნდა იმდროინდელი საზოგადოებისთვის. ილია სიძულვილის ქარცეცხლში გაატარეს თანამემამულეებმა, თუმცა ის არ შეუშინებია. იგი მოუწოდებდა თანამემამულეებს მოქმედებისკენ, ხან ღიად, ხანაც შეფარულად საუბრობდა ქართველი ერის ნაკლოვანებებზე. მის მიერ აღწერილი წარმატებული სახელმწიფო უნდა შემდგარიყო თავდაპირველად სოციალურად თანასწორი, განათლებული, მშრომელი საზოგადოებისგან. ადამიანებს უნდა ჰქონოდათ განცდა, რომ სახელმწიფო მათ უფლებებს დაიცავდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისივე პუბლიცისტურ ტექსტებში ეს პრობლემები მრავალგზის გამოვლინდა.

პუბლიცისტური სტილის ზოგადი მიზანია ღრმა გავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ აზრზე, დაარწმუნოს მკითხველი ან მსმენელი, რომ მწერლის ან მომხსენებლის მიერ გადმოცემული ინტერპრეტაცია მართებულია. პუბლიცისტური წერილები აიძულებს მკითხველს მიიღოს მასში გამოთქმული თვალსაზრისი. ემოციური სიტყვები, რიტორიკული შეკითხვები იწვევს ადამიანებში ძლიერ ემოციას.

პუბლიცისტურ ტექსტში ფაქტების რეალურ სინამდვილესთან ერთად, პუბლიცისტის პირადი აზრების მოდელირებაც ხდება. მოდელირება დამფუძნებლის, რედაქტორისა და საზოგადოების ინტერესთა და შეხედულებათა ერთობლიობას გულისხმობს.

როგორც აღვნიშნეთ, პუბლიცისტური ტექსტები ემოციური ხასიათისაა. ტექსტი, რომელსაც ქმნის პუბლიცისტი, მიზანმიმართულია იმისკენ, რომ მკითხველზე მოახდინოს გავლენა. პუბლიცისტური ტექსტი იქმნება ფაქტების ლოგიკურად დალაგებით, ავტორის ემოციური სიტყვებით, კრიტიკული მსჯელობით და ტექსტში ჩართული კითხვებით, რომლის პასუხიც აფიქრებს მკითხველს და აიძულებს მას, მიიღოს ავტორის აზრი. რიტორიკული შეკითხვა მკითხველს მეტ ინტერესსა და დაფიქრების მიზეზს აძლევს.

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებში ხშირად შევხვდებით რიტორიკულ შეკითხვებს, რომლის მიზანიც მკითხველის დაფიქრებაა და

მიზნად ისახავს, იგი საკუთარ თავს დაუსვას და პასუხიც თვითონვე გასცეს. ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილში „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ რიტორიკული შეკითხვები ავტორს გამოყენებული აქვს როგორც წერილის სათაურად, ასევე, ის მეორდება რამდენჯერმე ტექსტში.

პუბლიცისტური წერილი „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ რეალურად წარმოადგენს ილიას საახალწლო მილოცვას. ის ემოციურად იხსენებს საქართველოს წარსულს, იმ შემართებას და სულისკვეთებას, ერთობას, რაც ყოველთვის ახასიათებდა ქართველ ერს.

ილიას სევდიანი განწყობა იგრძნობა ტექსტში. ის თითქოს უკმაყოფილოა ახლანდელი ყოფით და რიტორიკული შეკითხვებიც სწორედ მკითხველის დაფიქრებას და გამოცოცხლებას ცდილობს. ის მოუწოდებს ერს მოქმედებისკენ.

„ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდამ ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისგან გვასწავლე დროთა შესაფერისი სამამაცონი ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარას სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

სახელმწიფოს არსებობისთვის საჭიროა სამართლებრივი პრინციპი, სამართლებრივ პრინციპს კი განსაზღვრავს სათანადო წესით მიღებული კანონი.

ილია პუბლიცისტურ წერილში ,,ცხოვრება და კანონი“ სწორედ სახელმწიფოში კანონისა და ადამიანის უფლებების აუცილებლობაზე საუბრობს. ის ფიქრობს, რომ სახელმწიფოში ადამიანების თანაცხოვრებისა და კეთილდღეობისთვის მხოლოდ ლამაზი ბუნებით დაჯილდოებული ტერიტორია არ არის საკმარისი. თანაცხოვრებისთვის საჭიროა ჰუმანური და მკაფიოდ განსაზღვრული კანონი, რომელსაც დაემორჩილება თითოეული მოქალაქე.

„კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერშორისი უფლება და მოვალეობა“.

„უმეცრებაა ჩვენის საშიში მტერი. უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა აი ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას“.

ილიას პუბლიცისტური წერილების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, როდესაც აქტიურად მიმდინარეობს რუსიფიკაციის პროცესი, გაუქმებულია ავტოკეფალია, ქვეყანაში მძიმე ეკონომიკური მდგომარეობაა და ქართველი ხალხს დაკარგული აქვს ეროვნული იდენტობა, საქართველოში მოღვაწეობენ ევროპული აზროვნების მქონე სახელმწიფო მოხელეები, რომლებმაც საკმაოდ მნიშვნელოვნად შეუშალეს ხელი მტრებს ქვეყნის გადაგვარებაში და დაიწყეს ბრძოლა სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის.

ილიას მიერ წარმოდგენილი სახელმწიფოს მართვის მოდელი, მთავრობისა და თვითმმართველობის არჩევნების გზით დანიშვა, რომლის მომხრეც იყო ილია, დემოკრატიის ჭეშმარიტი გამოხატულებაა. თვითმმართველობაც ხომ სწორედ ამას გულისხმობს, მმართველობით

პროცესებში მოსახლეობის ჩართვას. თანამედროვე საქართველო დემოკრატიულია, მთავრობასა და თვითმმართველობას მოსახლეობა ირჩევს კენჭისყრის გზით, ადგილობრივი პროცესების მართვაში კი საზოგადოება იღებს აქტიურ მონაწილეობას, შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თანამედროვე ქართული სახელმწიფო, ილიას მიერ წარმოდგენილი დემოკრატიული გზით სულდმულობს და ცდილობს სვლა გააგრძელოს.

ილია პუბლიცისტურ წერილებში ლიდერობისთვის დამახასიათებელ თვისებებს ავლენს, სადაც ის მკაცრი, დამაჯერებელია და ემოციური მიმართვებით ზემოქმედებს აუდიტორიაზე, საზოგადოებაზე. სწორედ პუბლიცისტური წერილების მეშვეობით გაგვაცნო XIX საუკუნის საქართველოს და ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების სიმძიმე. საბოლოოდ, როგორც ვიცით, ის თავის დაწყებულ საქმეებს შეეწირა კიდეც.

ილიამ საფუძველი ჩაუყარა დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას. ქართული ენის რეფორმა, საადგილმამულო ბანკის დაარსება, „წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და სხვა მრავალი საქმე, რომლის იდეის ავტორი და შემსრულებელიც იყო, ემსახურებოდა მხოლოდ საქართველოს და ქართველ ერს. როგორც აღვნიშნეთ, არაერთი პრობლემა არამც თუ აქტუალურია დღემდე, არამედ კვლავაც იმ ხედვითა და შემართებითაა გადასაჭრელი, როგორც ლამის ორი საუკუნის წინ დიდმა მამულიშვილმა დღის წესრიგში დააყენა.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

დროება 1876: გაზეთი დროება, 1876, №27.

შინაური მიმოხილვა 1879: გაზეთი შინაური მიმოხილვა, 1879, იანვარი.

ჭავჭავაძე 1987: ჭავჭავაძე ი., რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტომი IV, პუბლიცისტური წერილები, თბილისი, 1987.

ჭავჭავაძე 1953: ჭავჭავაძე ი., წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე. პრესა. ფელეტონები. 1953.

მართვა და ლიდერობა საჯარო სამსახურში http://www.csb.gov.ge/media. დამოწმება: 12.07.2023.

https://batuminews.wordpress.com. დამოწმება: 12.07.2023.